# ხიულეტენი

აჭარის სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№10-11 (40-41) ოქტომბერი-ნოემბერი 2010 წელი

წმ. ათონელ შუაჯნელ (ახალთესელ) მოწამეები

# კიდევ ერთი ალიარება

# ბევრი ჩაკიჩული ცოლოვნება

# „აფხაზეთობა 2010"

ბიულეტენი გამოდის ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელის (დათუაშვილის) ლოცვა-კურთხევით 2007 წლის ივლისიდან

# ჩვენი სულიერი ფასი

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სულიერი მოწყალების შვიდი საქმის აღსრულებას, რომლებიცაა:

ცოდვილთა მოქცევა;
უმეცართა სწავლება;
დაბრკოლებულთა განმართვა;
მწუხარეთა ნუგეშინისცემა;
უსამართლობის მოთმენა;
შემცოდეთა პატიება;
მოყვასის საცხოვნებელად ღთისადმი ვედრება.

ამ მიმართებით თავის ძალისხმევას არ იშურებს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრიც, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დანიელის ლოცვა-კურთხევით, იძულებით გადაადგილებულ პირთა სულიერი სრულყოფისათვის იღწვის.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ჯონი აფაქიძის თანადგომით, სულიერების ცენტრთან ამ კუთხით აქტიურად თანამშრომლობს ამავე უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი ელენე ბენდელიანის ხელმძღვანელობით. სტუდენტები ოთხ-ხუთ – კაციან მობილურ ჯგუფებში არიან გაერთიანებულნი, რომელთაც შემდეგი მოძღვრები უწევენ კოორდინაციას:

– არქიმანდრიტი იოანე გვაჯაია;
– დეკანოზი გურამ გურამიშვილი;
– დეკანოზი მიქაელ გვარამაძე;
– დეკანოზი გიორგი თეთრუაშვილი;
– დეკანოზი იაკობ სირბილაძე;
– დეკანოზი ბაქარ სოსელია;
– მღვდელი შალვა როსტიაშვილი;
– მღვდელი მალხაზ ყიფიანი;
– მღვდელი დავით კონჯარია;
– მღვდელი ნიკოლოზ გუგუსიანი;
– მღვდელი დავით ოძელაშვილი;
– მღვდელი გიორგი წეროძე;
– მღვდელი გიორგი ჩიქოვანი;
– მღვდელი ლევან ჯანაშია;
– მღვდელი გიორგი კიკვაძე;
– მღვდელი ცოტნე თვარაძე და სხვა...

თითოეულ სტუდენტურ ჯგუფს თავისი მოქმედების არეალი, ესა თუ ის კომპაქტურად დასახლებული პუნქტი აქვს განპირობებული და შესაბამისი ლოცვა-კურთხევით მოქმედებს. უპირველეს ყოვლისა, მათ შემდეგი მონაცემების შეგროვება და ანალიზი ევალებათ:

– არიან თუ არა მონათვლის ან ჯვრისწერის მსურველნი. აქვთ თუ არა სახლი ნაკურთხი, არიან თუ არა აღმსარებელნი და თუ არა, თუ აქვთ ამის სურვილი. რამდენი არის მათ შორის ხანდაზმული, მარტოხელა, ობოლი, მრავალშვილიანი თუ ინვალიდი ადამიანი და სხვ...

ამასთან, ჯგუფების მიერ იგეგმება წმიდა ადგილების მოლოცვა თბილისსა და მის შემოგარენში. თბილისში: წმიდა სამების ლავრა, მამა დავითი და ნარიყალას წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარი, ხოლო მცხეთაში: სვეტიცხოველი, სამთავროს მონასტერი და მცხეთის ჯვარი. ასევე იგეგმება შიომღვიმის, დავით გარეჯისა და ბოდბის მონასტერთა მოლოცვაც.

მოძღვართა ძალისხმევით, ყოველკვირეულად, მსურველთა ოჯახებს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის, წმიდა ნინოს, წმიდა ნიკოლოზისა და წმიდა გიორგის მომლოცველი ხატები სტუმრობენ. მორწმუნეთა სულიერი მოთხოვნების შესაბამისად, მოძღვრები ეკლესიური ცხოვრების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ესაუბრებიან და სატაძრო მსახურებაში თანამონაწილობისკენაც მოუწოდებენ მათ.

მიმდინარეობს მოზარდების შერჩევა (უნარისა და ნიჭის მიხედვით) ეკლესიებთან არსებულ სამრევლო სკოლებში გაწევრიანებისათვის, სადაც მათ შესაძლებლობა მიეცემათ დაეუფლონ: ხატწერის, ხეზე კვეთის, ტიხრული მინანქრის, საეკლესიო ნაქარგობის, გალობისა თუ მედავითნეობის მაღალ ხელოვნებას.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, შემდგომში განზრახულია მოზარდების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის მოწყობა, რომელიც მათ შორის საუკეთესოთა გამოვლენას შეუწყობს ხელს.

ასევე ხდება იმ ახალგაზრდების გამოვლენა, რომლებიც წარმატებით ამთავრებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას და გამოირჩევიან რა მაღალი სულიერებითა და ეკლესიური ცხოვრებით, სურვილს გამოთქვამენ საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად.

და ბოლოს, უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ შეჭირვებაში მყოფ იძულებით გადაადგილებულ ჩვენს თანამემამულეთა თანადგომისათვის და შეძლებისდაგვარად უმსუბუქებენ მათ მძიმე ხვედრს.

***დეკანოზი ბიძინა (გუნია***

# კიდევ ერთი ალიარება

საფრანგეთში გამართულ დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე ცნობილი კინორეჟისორის გელა კანდელაკისა და კინოცენტრ „აფხაზეთის“ მიერ გადაღებული დილოგიის „ხმელეთის 0,047 %“ პირველმა ფილმმა „სოფელი“ გრან–პრი დაიმსახურა.

ამ წარმატებას მიუძღვნა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა 28 ოქტომბერს შეხვედრა ფილმის შემოქმედებით ჯგუფთან, რომელსაც ესწრებოდნენ ცენტრის თანამშრომლები და დეკანოზი ბიძინა (გუნია). ფილმის დამდგელმა რეჟისორმა დამსწრეებს მოუთხრო ფესტივალის შესახებ:

— ფესტივალი ჩატარდა სორეზში. ეს პატარა ქალაქია, რომელიც მე–14 საუკუნემდე იყო იმ რეგიონის რელიგიური ცენტრი. მე-

*(გაგრძელება მე-4 გვ.)*

# კიდევ ერთი ალიარება

*(დასაწყისი მე-3 გვ.)*

რე მან იტვირთა საგანმანათლებლო ფუნქცია 1973 წლამდე. ეს იმდენად მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრი იყო, რომ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ახალგაზრდები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან და ა.შ., მე ვნახე სტუდენტთა სია. ეტყობა, გლობალიზაციის შემოტევამ ასეთი ცენტრის საჭიროებას აზრი დაუკარგა და მან შეწყვიტა არსებობა. ამის მერე ეს ყველაფერი იქცა მუზეუმად, ამავე დროს იქცა არაკომერციული ფილმების ფესტივალის ქალაქად. მისი დევიზია „კულტურა და კულტურები“. ემბლემაც საინტერესო აქვს: ოქროსფერში ჩასმული სხვადასხვა ხის ტოტები, შეკრული ოქროს მავთულით. ფესტივალი უნდა დახურულიყო ჩვენი ფილმით, რამაც მაფიქრებინა, რომ იგი რაღაცით უნდა აღნიშნულიყო. მართლაც, ეს საღამო გამოვიდა ქართული საღამო. გარდა იმისა, რომ ამ ფილმმა მიიღო მთავარი პრიზი, იქ დამსწრე ბევრმა კომპოზიტორმა განსაკუთრებით აღნიშნა თემურ ბაკურაძის საავტორო მუსიკა. აქ ვერ შევიკავე თავი, გამოვართვი მიკროფონი წამყვანს და ვთქვი „კარგი ყური ჰქონია ვიღაცას, ვინც ეს გაიგონა–მეთქი“. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ჩვენ არა ვართ კმაყოფილები. არის იდეა (თუ შესრულდა), რომ ეს ფილმი ნაჩვენები იქნას ფრანგული ტელევიზიით. ამ ფილმში 2 საათის განმავლობაში ქართველი გლეხები საუბრობენ. იგი უკვე სამ ქვეყანაში ნახეს და საოცარი შედეგია: 2 საათი მათთვის ფილმის ყურებაში გადის, როგორც 2 წუთი – ისე იცინიან, ისე მწუხრდებიან, ისე შემოაწვებათ სევდა და უნდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი არის ჩვენი გლეხური სიბრძნის დამსახურება და იმისი, რომ ჩვენ ამას ყურადღება მივაქციეთ და უბრალოდ, მოვძებნეთ ეს ადამიანები. ფილმი მიდიოდა სუბტიტრებით, რითაც მაყურებლები უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩათვალეს, რომ მთავარი ჯილდო უნდა მოეცათ ჩვენთვის. ეს ფილმი უნდა გაგრძელდეს, უკვე 2 წელია ვეძებ თანხებს. უნდა შემდგარიყო 3 ფილმისაგან: „სოფელი“, „ქალაქი“ და „ფიქრი“. ფიქრი არამარტო ჩვენს

ქვეყანაზე, არამედ ზოგადად ცხოვრებაზე. ჩემი აზრით, ამ ფილმს აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, თუმცა, სამწუხაროდ, ამის თანხები მე საქართველოში ვერ მოვიძიე. „ქალაქს“, ალბათ, ვეღარ მოვასწრებ, თუმცა გმირები არიან.

შეხვედრაზე საუბარი გაგრძელდა თავად სტუდიის საქმიანობაზე. „რაც შეეხება სტუდიას, — გვითხრა გელა კანდელაკმა, — ჩვენ მეუფე ისაიასთან (ჭანტურიასთან) ერთად ნიქოზში დავაარსეთ ხელოვნების სკოლა. ესენი ყველანი აფხაზეთიდან გამოსული ახალგაზრდები არიან. დღეს არ მოვერიდები მათი თანდასწრებით ამის თქმას: რომ მომცენ არჩევანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეკრიბე შემოქმედებითი ჯგუფი, ვისთან ერთადაც ფილმს გადაიღებდიო, მე ავარჩევ ამათ. როდესაც ფილმს აკეთებ, შენ გვერდით უნდა იყვნენ თანამოაზრეები და ჩვენ უკვე 14 წელია, ერთად ვართ. ისინი ძალიან დაუმეგობრდნენ ჩემს ძველ აღზრდილებს. ვფიქრობ, მათში დიდი ძალა და პოტენციალია. ახლა დაკავებული ვართ ერთი კარგი საქმით: ძალიან გვინდა გავაკეთოთ ნიქოზის თოჯინური და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი. ამაში გვეხმარებიან პოლონელები, ახლა უკვე შეუერთდნენ გერმანელები, მალე შეუერთდებიან იაპონელები და ფაქტიურად, ეს დაპყრობილი და განადგურებული მიწა იქცევა სულ მალე კულტურის ცენტრად და მომავალ ამ დროს, თუ გექნებათ სურვილი, დარწმუნებული ვარ, იმ ბავშვების მიერ გაკეთებულ მინიატურებსაც გაჩვენებთ და მათ მიერ გადაღებულ 20–30– წამიან ანიმაციურ ჩანახატებსაც. ეს ყველაფერი მოხდება ნიქოზში. თუ თქვენ სურვილი გექნებათ, ჩვენ სიამოვნებით ვითანამშრომლებთ თქვენთან. მთავარია, დავიწყოთ და მერე ყველაფერი გამოჩნდება“.

მონათხრობით დამსწრეთა სერთო განწყობა გამოხატა დეკანოზმა ბიძინამ (გუნია):

— პატრიარქმა ირანში მოგზაურობიდან საოცარი სიტყვები ჩამოიტანა: ღმერთს ებარებოდეთო. ეს ძველი ქართული დალოცვა იყო. თოთოეული ადამიანი ყოველდღიურად ისე უნდა ცხოვრობდეს, რომ ღმერთს ებარებოდეს. მისი წყალობა, მისი მფარველობა არ მოგკლებოდეთ, წარმატებებს გისურვებთ!

ფილმის წარმატების აღნიშვნა ამით არ დასრულებულა. სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომით 30 ნოემბერს უნივერსიტეტის დარბაზში მოეწყო მისი ჩვენება, რომელსაც ესწრებოდნენ სტუდენტები, ლექტორები. ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა და გამოითქვა იმედი, რომ დილოგიის გადაღება გაგრძელდება.

# გენში ჩაკირული ხელოვნება

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრთან რამდენიმე წელია ფუნქციონირებს ნაქარგობის წრე. დევნილი ბავშვები ეუფლებიან ჯვრული ტექნიკით ქარგვას, მძივზე მუშაობას, თექვას. იქარგება როგორც საეკლესიო, ასევე საერო დანიშნულების ნივთები, როგორიცაა: ნაკურთხი წყლის ბოთლები, ქისები სეფისკვერის, წიგნების ყდების ჩასასმელი ბუდე, ფსალმუნები სამაჯურებში და გულსაკიდად. ასევე, ხევსურული სამოსი, სამკაულები მძივებით და თექით. თექის სამოსელი, ხელჩანთები და უმრავი სახეობის ნივთი.

ნაქარგობის წრის წევრები მონაწილეობას იღებენ გამართულ გამოფენებში და მათი ნამუშევარი დიდ მოწონებას იმსახურებს.

სულ ახლახან, ქვაშვეთის ტაძრის 100 წლისთავთან და გიორგობასთან დაკავშირებით, ქვაშვეთის ტაძრის სამრევლო სკოლაში გაიმართა გამოფენა-გაყიდვა. გამოტანილი გვქონდა ზემოთ აღნიშნული ნივთები და ასევე ნაქარგობაში შესრულებული ამონარიდები ფსალმუნებიდან, ლოცვებიდან, წმიდა მამათა გამონათქვამებიდან, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ქმნილებებიდან. აღნიშნული სახეობები წარმოდგენილი იყო სურათების და დიდი ტილოების სახით. გამოფენამ წარმატებით ჩაიარა. ჩვენს თითოეულ მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა ნაქარგობის სფეროში.

ჩვენი მიზანია, არ მიეცეს დავიწყებას ძველი ეროვნული და კუთხური ხელსაქმის ტრადიცია და ამასთან ერთად, მომავალი თაობა დავაახლოვოთ ხელსაქმეს, შევასწავლოთ და შევაყვაროთ შრომა, გამოვუმჟღავნოთ ბოძებული ნიჭი და დავუხვეწოთ ის, რეალიზება მოვუხდინოთ მათ ფანტაზიას და ჩავრთოთ მატერიალურის მოპოვების ღვაწლშიც.

მე, მათი პედაგოგი, მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ამის საშუალება მისცა ჩემ მიერ გამოზრდილ სამ თაობას. დღეს ისინი წარმატებით მუშაობენ თავის სფეროში.

და ბოლოს, მინდა დავსძინო, რომ ჩვენი ქვეყნის უკიდურესი დასავლეთის შვილებმა სისხლხორცეულივით შეიყვარეს უკიდურესი აღმოსავლეთის ხელოვნება, რაც მაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენი ერთიანობა ქვეყნისა და ერისა ჩვენს გენშია ჩაკირული. მას ვერანაირი ძალა ვერ გათიშავს, უფრო მეტიც, სათანადო პირობებში ეს ერთიანობა სხვადასხვა სფეროში ციცინათელებივით გამოციაგდება და თავს გვახსენებს ჩვენდა საიმედოდ.

**ანა ბურდული**

# ჟდიდარი სულიერი ურთიერთობა

ას სამოცდაათი წელი შესრულდა რუსული მუსიკის გენიის, უდიდესი სიმფონისტის პეტრე ჩაიკოვსკის დაბადებიდან, რომლის შემოქმედებაზე იზრდებიან ქართველი და არამარტო ქართველი მუსიკოსების თაობები. ეს თარიღი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს საზოგადოებისთვის არა მარტო იმის გამო, რომ კომპოზიტორი მრავალჯერ იმყოფებოდა საქართველოში და თავისი შემოქმედებით ღრმა კვალი დაამჩნია ქართულ მუსიკალურ ცხოვრებას, არამედ მისი კეთილგანწყობისა და სიყვარულის გამო საქართველოსა და მისი ბუნებისადმი. „შთაბეჭდილებანი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ინტერესი ერთი წუთითაც არ ქრება. სანამ სადგურ დუშეთს მივუახლოვდებოდეთ, უცბად ისეთი შორეთი გამოჩნდება, იმდენად გასაოცრად საუცხოო, რომ აღტაცებისგან გინდა იტირო," — წერდა კომპოზიტორი თავის ძმას პირველად თბილისში სამხედრო გზით ჩამოსვლისას. „რა საუცხოო ქვეყანაა ეს კავკასია! შეუძლებელია აღწერა, თუ რაოდენ თვალწარმტაცია, მომხიბლავია, რა მდიდარია მცენარეულობით რიონის ხეობა, რომელზედაც გადის ბათუმიდან მომავალი რკინიგზა. წარმოიდგინე, ჩემო ძვირფასო, ფართო ხეობა, ორი მხრიდან შემოჯარული საოცარი ფორმის მთებითა და სალი კლდეებით, რომელზედაც იზრდება შქერი და გაზაფხულის სხვა ყვავილები, თვით ხეობაში კი აღმართულან ცოცხალი, ახალი, მწვანეფოთლებიანი ხეები და ბოლოს უხვწყლიანი, მოხმაურე, დაკლაკნილი რიონი. მერწმუნეთ, მარტო ამისთვის ღირს კავკასიის ნახვა." — აღტაცებას ვერ მალავდა ჩაიკოვსკი ფონ-მეკისადმი გაგზავნილ წერილში, როცა ის თბილისში ლონდონიდან ბათუმის გავლით ჩამოვიდა. „თბილისი წააგავს იტალიის ზოგიერთ ქალაქს, განსაკუთრებით ფლორენციას," — კმაყოფილებით აღნიშნავდა პეტრე ილიას ძე. და ბოლოს, „უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, სამუდამოდ დავრჩებოდი აქ საცხოვრებლად," — სინანულით წერდა თავის კოლეგას, კომპოზიტორ არენსკის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე.

საქართველოში ჩაიკოვსკიმ ბევრი მეგობარიც შეიძინა, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, ხარლამპი სავანელი (მომღერალი, საგუნდო დირიჟორი, საზოგადო მოღვაწე, პირველი ქართველი, რომელმაც დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია, სადაც დაუმეგობრდა ჩაიკოვსკის), ფოლკლორისტი ზაქარია ჩხიკვაძე, ინჟინერი ანდრონიკაშვილი და სხვ. რუსი კომპოზიტორი ეძებდა შემთხვევას, რათა ახლოს გასცნობოდა ქართულ სიმღერებს. თავისი ძმის ანატოლის დახმარებით შეხვდა ზაქარია ჩხიკვაძეს, რომელმაც გადასცა რვეული ხალხური სიმღერებით. ჩაიკოვსკიმ მოისმინა ისინი, გაკვირვებული დარჩა მათი სიმშვენიერითა და სიმდიდრით და სურვილი გამოთქვა, ოდესმე გამოეყენებინა. ასე მოხვდა საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული „იავნანა" ბალეტ „მაკნატუნაში", სადაც მას კომპოზიტორი უწოდებს „არაბულ ცეკვას". მოსკოვის კონსერვატორიაში მის მოწაფეთა შორის იყო ვიოლონჩელისტი ივანე სარაჯიშვილი. მეგობართა მოგონებებით ირკვევა, რომ ჩაიკოვსკიმ სიყვარული მოიპ-

*(გაგრძელება მე-6 გვ.)*

# ჯდიდარი სულიერი ბენეფიციარობა

*(დასაწყისი მე-5 გვ.)*

ოვა თავისი სათნოებით, გულკეთილობით, უბრალოებით, ჰუმანურობით და ყოველთვის გულწრფელი მსჯელობით.

ჩაიკოვსკის თბილისში კარგად იცნობდნენ მის ჩამოსვლამდეც, უმთავრესად, როგორც საოპერო კომპოზიტორს. თბილისის თეატრში დიდი წარმატებით იდგმებოდა მისი რამდენიმე ოპერა: „მაზეპა“, „ორლეანელი ქალწული“, „ევგენი ონეგინი“, „ჯადოსანი“.

„მაზეპას“ წარმატების შემდეგ იგი წერდა: „ძნელია გამოთქმა თბილისისადმი ყველა იმ სულიერ მისწრაფებათა, რომელსაც განვიცდი. მეც კი მეუცხოვება, რაზეა დაფუძნებული ჩემი სრულიად განსაკუთრებული სიმპათია ამ ქალაქისადმი“.

სწორედ ჩაიკოვსკის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა შეხვედრა ცენტრის ოფისში დიასპორის წარმომადგენლებთან მ.წ. 19 ნოემბერს. კომპოზიტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები დამსწრეთ გააცნო ცენტრის თავმჯდომარემ, მუსიკოლოგმა სვეტლანა ქეცბამ. ონეგინის არიები ოპერიდან „ევგენი ონეგინი“ შეასრულა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ბაკალავრიატის მეოთხე კურსის სტუდენტმა ბესო კალანდაძემ. აკომპანიატორობა გაუწია ვიქტორია ჩაპლინსკაიამ. ამასთან ერთად, დამსწრეთ დიდი სიამოვნება მიანიჭა ინოკენტი სმოკტუნოვსკის მიერ წაკითხული ამავე პოემის ფრაგმენტის ჩანაწერმა.

ამ შეხვედრაზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე ისაუბრეს ჰაროლდ შმალცელმა, იგორ ნაგორნიმ, ვალენტინა ბალანჩივაძემ, რეგინა იაკობიძემ. ჩაიკოვსკისა და პუშკინის შემოქმედებასთან კიდევ ერთხელ შეხებამ მათ გაახსენათ ყოველივე კარგი, რაც დღეს ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში ხდება, საინტერესო საკონცერტო პროგრამები, რომლებზეც სიამოვნებით ესწრებიან ჩამოსულ სტუმრებთან ერთად და რომ ასეთი სულიერი სისავსე, როგორიც დღევანდელმა საღამომ აგრძნობინათ, კარგა ხანია, არ განუცდიათ. იგორ ნაგორნიმ გამოთქვა სურვილი ვახტანგ ჭაბუკიანზე მის მიერ გადაღებული ფილმის აფხაზეთის დევნილი საზოგადოებისათვის ჩვენებისა.

# რობერტ შუმანის ცხოვრება

უკვე მესამედ გამართა ერთობლივი ღონისძიება აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა და ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმმა. ჩვენი თანამშრომლობა 2009 წელს დაიწყო, როდესაც სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით მუზეუმში მოეწყო „აბესალომ და ეთერის“ პრემიერის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ეს იყო დიდი ზეიმი, სადაც შევხვდით ხელოვანებს, რომლებთანაც წლების განმავლობაში დაკავშირებული იყო „აბესალომ და ეთერის“ სცენური ცხოვრება და წარმატება.

ერთობ უჩვეულო გამოდგა მეორე ერთობლივი საღამო, რომლის ავტორი და წამყვანი მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, მუსიკისმცოდნე თამარ წულუკიძე იყო. საღამო მიეძღვნა ჩვენი მუზეუმის ექსპონატს — მემორიალურ ვალტორნას, საკრავს, რომელზედაც ზაქარია ფალიაშვილი უკრავდა და რომელიც ჩასაბერ საკრავებზე დაკვრის ხელოვნების ასაღორძინებლად სხვა საკრავებთან ერთად სოხუმის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელს გადაეცა. ლეგენდარული საკრავი მუზეუმს გახსნის პირველივე წლებში დაუბრუნა სასწავლებელმა.

ახლა კი ერთობლივად გავმართეთ რობერტ შუმანის დაბადებიდან 200 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მისი გამართვის საბაბი ცენტრისთვის გახდა გერმანიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსების ელისო ასათიანისა და მიშელინა ქობალიანის ერთდროული ჩამოსვლა თბილისში. შეხვედრა გახსნა მუზეუმის

დირექტორმა შალვა დავითაშვილმა,მიჰყავდა მუსიკისმცოდნე თამარ წულუკიძეს, ვრცელი სიტყვით წარსდგა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარე, მუსიკისმცოდნე სვეტლანა ქეცბა.

საღამოზე შეძლებისდაგვარად მრავალფეროვნად იქნა წარმოდგენილი შუმანის შემოქმედება. შემსრულებლები სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები იყვნენ ნორჩი

*(გაგრძელება მე-7 გვ.)*

*(დასაწყისი მე-6 გვ.)*

ასაკიდან დაწყებული აღიარებული მუსიკოსებით დამთავრებული: პირველი მუსიკალური გიმნაზიის მოსწავლეები, პიანისტები ელენე შავერზაშვილი (პედ. თამარ კეჩხუაშვილი), ლიზა მამრაძე (პედ. ნინო მამრაძე), ანა გიგაური (პედ. მედეა ალთუნაშვილი), ლექსო პირმისაშვილი (პედ. ირა მიქაძე), აგრეთვე რუსუდან კიკნაძე (ვიოლინო), შოთა გოგოძე (კლარნეტი), გვანცა ბუნიათიშვილი (ფორტეპიანო), მიშელინა ქობალიანი (სოპრანო), ელისო ასათიანი (ფორტეპიანო).

ჩვენთვის სასიხარულოა, რომ სწორედ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრისა და პიანისტ ელისო ასათიანის ინიციატივით შევუერთდით იმ დიდ მსოფლიო დღესასწაულს, რომელიც რობერტ შუმანის დაბადებიდან 200 წლისთავს უკავშირდება. განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკაში საპატიო ადგილი უჭირავს შუმანის ნაწარმოებებს. ამ საღამოსათვის ელისო ასათიანმა სპეციალურად თარგმა გერმანულიდან ვოკალური ციკლის „ქალის ცხოვრება და სიყვარული“ ლექსები (ავტორი ა. ფონ შამისო).

**თამარ ჩინჩალაძე-მარი,**
ზაქარია ფალიაშვილის
სახლ-მუზეუმის
მეცნიერ-თანამშრომელი

# სეხედხო ზეიმი „აფხაზეთობა 2010“

**14 ნოემბერს გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ გამართულ ზეიმში „აფხაზეთობა 2010“, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აფხაზეთის განთლებისა და კულტურის სამინისტრომ მოაწყო, მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა. გამოიფინა ფოტო-მასალა „აფხაზეთის ბუნება და ისტორიული ძეგლები“.**

# ჩჭენებშჩენი

***გთავაზობთ სულიერებისა და კულტურის ცენტრში აფხაზეთიდან დევნილ ნიჭიერ ახალგაზრდებთან შეხვედრის მონაწილის, თბილისის 137-ე საჯარო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლის, გალელი დევი ლაცუზბაიას ლექსებს.***

## შვიდობის ფრესკა

წკაპ,
წკუპ!
წკაპ,
წკუპ
ციმციმა,
მოდის შხაპუნა წვიმა!
ცა დედამიწას პირს ჰბანს
წვიმა, ჟუჟუნა წვიმა
გარეცხავს მინდვრის კაბას,
დააწყებინებს ბზინვას
გაკრიალებულ მთა-ბარს.

***

მზის სხივებზე კისკისა
ნოტებად ზის წვეთები.
ისმის წვიმის მუსიკა
წკაპ,
წკუპ!
წკაპ,
წკუპ...
ვსველდებით!
შინ გვიხმობენ დედები.
წვიმის სიმღერა შეწყდა,
ულამაზესმა ფრესკამ
მოხატა ჩვენი ზეცა!
მზე, ცისარტყელა, მტრედი!
მინდა შვიდფერ სიმს შევწვდე,
ფეხის წვერებზე ვდგები.

***

მიცნობდეთ,
მე ვარ
პატარა დევი.
ჯადოქარივით
ზედ ცისარტყელას
ფარდაგზე ვდგები!
მაღლიდან ვხედავ
ქვეყნად რაც ხდება,
ზეცის წყალობით
საქართველოში
წყეული ომის
კვალი წაშლილა.
გაცინებული არის
მამული!
ჩემი პატარა
გულიც დამშვიდდა,
ბომბის საზარი
ხმით რომ დაშინდა.

***

როგორ მძულს ომი,
შუღლი და მტრობა!
ომით მჭირს, მამით
ობოლი რომ ვარ,
და აფხაზეთში
რომ არ ვიზრდებით
გამოხიზნული
გოგო-ბიჭები!

***

ხომ გამიცანით
კეთილი დევი —
ბოროტ დევებთან
მეომარი ვარ!
ქვეყნად მშვიდობით
მინდა ვიცხოვროთ
მე, დედამ,
მთელმა კაცობრიობამ!
ომის ხანძარმა
ველარ გადაწვას
დედა ბუნება!
ცაზე იფრინონ
გუნდად მტრედებმა!

# ინფორმაცია

**უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II 2010 წლის 11 ნოემბერს, წმიდა სამების ლავრაში, კვირა დღეს, მთავარანგელოზ მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა კრების ხსენების დღეს, საზეიმოდ დალოცა ახლადშექმნილი ქრისტიანული ოჯახი და მრავალჟამიერი სიცოცხლე, შვილთა სიმრავლე, კეთილდღეობა და ერთსულოვნება უსურვა კონსტანტინე სულამანიძესა და ესმა ჯოპუას. მათი დალოცვით მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ძმობა დალოცა და მათ ერთიან საქართველოში ბედნიერი ცხოვრება უსურვა.**

## „პირველად იყო სიტყვა...“

*„.. ყოველი საიდუმლო*
*ამას ენასა შინა დამარხულ არს“*
*იოანე ზოსიმე*

**მურმან ლეგანიძე**

### ლიხს იქით და ლიხს აქეთ საქართველო გიყვარდეთ!

დარიგება არ გიყვართ
ბავშვებს, გაგებული მაქვს;
ყველა შეგონებაზე
ხელი აღებული მაქვს;
ეს ერთი კი სხვა არის -
საფიცრად გაიხადეთ:
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!

კახეთის ვენახები,
ქართლის ციხე-კორდები,
მესხეთის ქვითკირები,
იმერეთის ოდები,
რვეული რომ გაშალოთ,
სახსოვრად ჩაიხატეთ...
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!

გახსოვდეთ საქართველო,
თქვენგან სახელს რომ ელის!
გახსოვდეთ მისი ენა;
მისი ხალხი მშრომელი!
წინაპართ საფლავებთან
ქუდები მოიხადეთ...
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!

თვალი კარგად მოავლეთ
ჭალებს არაგვიანებს,
მოყვარეს რომ აჩარებს,
მტერს რომ ანაღვლიანებს;
აწმყოს ჩვენსას დასჯერდით,
წარსული დაიქადეთ...
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!

გახსოვდეთ საქართველო,
თქვენგან სახელს რომ ელის!
გახსოვდეთ მისი ენა,
მისი ხალხი მშრომელი!
მეორობადის ყვავილი
საფიცრად გაიხადეთ...
ლიხს იქით და ლიხს აქეთ
საქართველო გიყვარდეთ!

# წმიდანი ათაბაგი ავაგ (ასათასი) მოწამენი, თბილისს ხვარაზმელთაგან წამებულნი (+1227) 31 ოქტომბერი (13 ნოემბერი)

საქართველოს კეთილმსახური მეფის, წმიდა თამარის გარდაცვალების შემდეგ ძნელბედობის ჟამი დაუდგა. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „ქვეყანა საქართველოჲსა მიეცა განსარყვნელად ამის ძალითა, რამეთუ დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სიწრფოება, სიმართლე, და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, სიძვანი, უწესობანი“. ღმერთმა სჯულის დამვიწყებელ ერს სასტიკი სასჯელი მოუვლინა. ჩინგის ყაენისაგან ძლეული ხვარაზმის სულთანი ჯალალედინი დედაწულითურთ აიყარა და საქართველოს საზღვრებს მოადგა. ამ დროს საქართველოს თამარ მეფის ასული რუსუდანი განაგებდა. რუსუდანის ბრძანებით შეკრებილი ქართველთა ლაშქარი გარნისთან გამართულ ომში დამარცხდა. მეწინავე რაზმს, რომელსაც მოწამე შალვა ახალციხელი (ხს. 17 ივნ.) და მისი ძმა ივანე სარდლობდნენ, ქართველთა ლაშქრის მთავარსარდალმა ივანე ათაბაგმა მაშველი არ გაუგზავნა, ათაბაგმა „შურით ჰყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა“, — წერს „ქართლის ცხოვრების“ მემატიანე. ივანე მოკლეს, შალვა კი ტყვედ ჩაიგდეს და ერთი წლის შემდეგ წამებით ამოჰხადეს სული.

გავიდა ხანი. ადარბადაგანსა და ნახჭევანს დამკვიდრებულმა ჯალალედინმა საქართველოს მაშინდელი ათაბაგი ავაგ მხარგრძელი იხმო და შესთავაზა: „აწ მნებავს, რათა შევერთნეთ მტკიცითა ფიცითა და ვბრძოლოთ მტერთა (მონღოლებს). რომელ მეფე თქუენი დედაკაცი არს და მყოთ ქმარ მისა და მეფე თქუენ ზედა და ვძლოთ ყოველთა მტერთა ჩუენთა. უკეთუ ესე არ ჰყოთ, მოოჴრდეს სამეფო თქუენი“.

ჯალალედინის უტიფარმა განზრახვამ გააოცა მეფე და დარბაზი. რუსუდანმა ავაგს შეუთვალა: „არცა თუ სმენად საქმისა მაგისა, არამედ სრულიად განყენებად“. ავაგ ათაბაგმა რუსუდანის გულისწყრომა და უარი აცნობა ჯალალედინს. სულთანმა ლაშქარი აჰყარა და თბილისისკენ დაიძრა. ბრძოლის პირველ დღეს „ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს ქართველთა“, დიდად დაჯაბნეს ხვარაზმის სულთანი, მაგრამ ღამით თბილისელმა სპარსელებმა უღალატეს ქართველებს, ქალაქის კარი გააღეს და მტერი თბილისში შემოუშვეს. „ვინ-მე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნულთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანეთა ზედა?“ — კითხულობს ჟამთააღმწერელი და მოგვითხრობს ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ უსაშინლეს სისხლიან დღეზე, — „ჩჩჯილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან და რომელსამე თუალნი წარცკვდიან და რომელსამე ტჯნი დაეთხიის“... სისხლის მდინარემ წალეკა ქალაქი. ბორცვებად ეყარნენ დახოცილები, ცხენების ფლოქვები სრესდა უძლურთ, ჭაბუკებს ასაჭურისებდნენ, დედას შვილს აკლავდნენ. „ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ჴმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი“. თბილისის ქუჩები და მტკვარი გვამებით აივსო. ჯალალედინმა სიონის ტაძრის გუმბათი მოარღვევინა და ბრძანა ზედ თავისი „ბილწი საჯდომელის“ დადგმა. შემდგომ ბოროტებამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა: ჯალალედინის ბრძანებით სიონის ტაძრიდან გამოასვენეს მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენეს და თბილისელებს უბრძანეს „დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა“. ვინც ამას არ აღასრულებდა, „წარკუეთა თავთა“ ელოდა.

ასი ათასი ქართველი შეეწირა ამ დღეს წმიდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას, ასი ათასი მოჭრილი თავი და ასი ათასი თავწარკვეთილი სხეული გაატანეს უსჯულოებმა მდინარე მტკვარს. ამ დღიდან ასი ათასი მფარველი შეემატა საქართველოს, რომელთა ხსენება ყოველთვის „ქებით აღესრულების“ მათ სამშობლოში.

***„წმიდათა ცხოვრებანი“, წ. II,***

***თბილისი, 2008 წ.***

# წმ. დიდმოწამე ბარბარე (დაახლ. +306)
# 4 (17) დეკემბერი

დიდმოწამე ბარბარე იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305–311) დროს ეწამა ქრისტესთვის. მამამისი, მდიდარი და დიდებული წარმართი დიოსკორე ქალაქ ილიოპოლში ცხოვრობდა. იგი ადრე დაქვრივდა და მეუღლისაგან ერთადერთი შვილი – ბარბარე დარჩა. დიოსკორეს ძალიან უყვარდა ასული და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ხედავდა რა ბარბარეს გასაოცარ მშვენიერებას, მან გადაწყვიტა, ნეტარი გარეშე თვალთაგან ფარულად აღეზარდა: მაღალი კოშკი ააგო, ასული შიგ გამოკეტა და წარმართი აღმზრდელების გარდა მასთან არავის უშვებდა. გოდოლში გამომწყვდეული წმიდანი შვებას ბუნების ღვთაებრივი სილამაზის ჭვრეტაში ჰპოვებდა: დღისით აყრილი ტყეებით დაფარულ მთებს, მშფოთვარე ნაკადულებს, მინდვრის ყვავილებით ნაირფერად მოჩითულ ხალიჩას გასცქეროდა, ღამით – მანათობელი ვარსკვლავებით მოჭედილ თვალუწვდენელ ცას. მალე გოგონამ ამ უზარმაზარი და ჰარმონიულად შექმნილი სამყაროს პირველმიზეზსა და შემოქმედს დაუწყო ძიება. აღმზრდელები მას ასწავლიდნენ, ყველაფერი იმ კერპებმა შექმნეს, რომელთაც ჩვენ ვეთაყვანებითო, თავად კი თანდათან იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ სამყაროს უეჭველად ერთი შემოქმედი უნდა ჰყოლოდა. ქალწული თანდათან ივსებოდა ღვთის მადლით და სულიერად ძლიერდებოდა.

ამასობაში ქალაქში გავრცელდა ხმა ბარბარეს მშვენიერების შესახებ და მრავალმა ჭაბუკმა იწყო მისი ხელის ძიება. დიოსკორემ ასულს შესთავაზა, მთხოვნელთა შორის თავად აერჩია გულისსწორი, რაზეც წმიდანმა მკაცრად მიუგო: „არა გიცნობიესა, მამაო, რამეთუ არად სახმარ არს ჩემდა სოფელი ესე?“ მამამ იფიქრა, ბარბარეს ჩაკეტილმა ცხოვრებამ გადაუსხვაფერაო ხასიათი, მას კოშკიდან გამოსვლის ნება დართო და მეგობრებისა და ახლობლების არჩევის სრული თავისუფლება მისცა.

ცოტა ხანში დიოსკორეს რაღაც საქმეების გამო შორს გამგზავრება მოუხდა. ამ დროს წმი-

*(გაგრძელება მე-11 გვ.)*

*(დასაწყისი მე-10 გვ.)*

და ბარბარემ ქრისტიანი ქალწულები გაიცნო და მათგან სამებით თაყვანისცემული ერთი ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ შეიტყო. ღვთის განგებით, იმავე ხანებში ჩავიდა ილიოპოლში ალექსანდრიელი ხუცესი, რომელმაც მონათლა წმიდა ქალწული. ბარბარემ ქალწულობის აღთქმა დადო და გადაწყვიტა, სიცოცხლე ღვთის სამსახურისთვის მიეძღვნა.

ერთხელ წმიდანი ბაღში სეირნობდა, სადაც მამამისის ბრძანებით დიდ აბანოს აშენებდნენ. დიოსკორეს ბრძანების მიხედვით აბანოს ორი სარკმელი უნდა ჰქონოდა – მზისა და მთვარის თაყვანისცემის ნიშნად, ბარბარემ კი მშენებლებს მესამე სარკმლის გამოჭრაც სთხოვა. როცა შინ დაბრუნებულმა დიოსკორემ უკმაყოფილება გამოთქვა მშენებლობის გეგმის დარღვევის გამო, ასულმა მას ჭეშმარიტი ღმერთი უქადაგა და უთხრა: „... მე მნებავს მოქცევაჲ შენი ჭეშმარიტებად; არა გიცნობიესა, რამეთუ სამნი სარკუმელნი იგი არიან, რომელნი ჰნათობენ ყოველსა სოფელსა; ესე სამნი არიან მამაჲ, ძეჲ და სული წმიდაჲ,.“ ამ სიტყვებმა დიოსკორე ისე გააოფთრა, რომ მახვილი იშიშვლა ქალიშვილის გასაგმირად, მაგრამ ბარბარემ გაქცევა მოასწრო. გამძვინვარებული მამა გამოუდგა ასულს. მათ გზა გადაუღობა სალმა კლდემ, რომლის ნაპრალმაც ისე შეიფარა წმიდანი, რომ მზერადაბინდულმა დიოსკორემ ვერაფერი შენიშნა. ნაპრალიდან გზა მაღლა ადიოდა. მამამ დიდხანს ეძება ბარბარე, ბოლოს მწყემსების დახმარებით მიაგნო გამოქვაბულში თავშეფარებულს და სახლში გამოკეტა. შემდეგ უსჯულომ ასული მმართველ მარტიანეს მიჰგვარა. ქალწულის სილამაზით მოხიბლულმა მარტიანემ ტკბილი სიტყვით სცადა მისი გადაბირება – ურჩია, მოენანიებინა ღმერთებისაგან განდგომა და მორჩილების ნიშნად მათთვის მსხვერპლი შეეწირა. პასუხად უფლის რჩეულმა მიუგო: „არა გიცნობიესა, ჰოი უღმერთოო, რამეთუ მე სჯულსა ზედა ქრისტესა ვარ და ღმერთნი შენნი ვითარცა წინასწარმეტყველმან დავით თქუა: პირ აქვს და არა იტყჳან, თუალ ასხენ და არა ხედვენ, ემსგავსნედ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესვენ მათ“. მაშინ განრისხებულმა მმართველმა ბრძანა, შოლტით ეგვემათ წმიდანი. ბოლოს კი, ნაწამები, საპყრობილეში ჩააგდეს. შუაღამისას საკანი ზეციური მადლით გაბრწყინდა, მოწამის წინაშე თავად მაცხოვარი წარდგა და წყლულებისაგან განკურნა. მეორე დღეს მარტიანემ სრულიად უვნებელი ბარბარე რომ იხილა, გაოცდა, მაგრამ მომხდარი სასწაული კერპების მოწყალებას მიაწერა და ქალწულს ურჩია, ეხლა მაინც შეეწირა მსხვერპლი მათთვის. წმიდანმა კვლავ მტკიცედ აღიარა ჯვარცმული მაცხოვარი. მაშინ ბარბარეს სიმტკიცით გაკვირვებულმა ჯალათებმაც ირწმუნეს ქრისტე, რისთვისაც უმალ სიკვდილით დაისაჯნენ. ბარბარეს წამების საცქერლად შემოკრებილ ბრბოში იდგა ილიოპოლელი ქალწული იულიანაც, რომელიც თანდათან ივსებოდა წმიდა მარტვილისადმი თანაგრძნობით და მის მსგავსად ქრისტესთვის თავის დადების სურვილით ინთებოდა. ბოლოს ნეტარმა ხმამაღლა დაიწყო მტარვალთა მხილება, რისთვისაც ისიც შეიპყრეს და ბარბარესთან ერთად საწამებლად შეაგდეს. წმიდანებს დიდხანს ტანჯავდნენ: კავებით უგლეჯდნენ სხეულს, მკერდი დაუსერეს, ტანსაცმელშემოძარცულებს დაატარებდნენ ქუჩებში, სცემდნენ, დასცინოდნენ... უფლის ანგელოზმა კი ქალწულთა სიშიშვლე სპეტაკი სამოსით დაფარა. ბოლოს წმიდანებს თავის მოკვეთა მიუსაჯეს. ბარბარე თავად დიოსკორემ გაიყვანა სიკვდილით დასასჯელად. წმიდანმა მამას სთხოვა, უკანასკნელად გაეწია მისთვის ანგარიში და ლოცვის საშუალება მიეცა. ქრისტეს ტარიგმა ლოცვა რომ დაასრულა, ზეციდან გაისმა: „მოვედ, წმიდაო ბარბარე, დისა შენისა იულიანას თანა სასუფეველსა ცათასა. აჰა, ესერა ანგელოსნი იხარებენ მოწევნასა შენსა მათ თანა და ყოველი, რომელი ითხოვე, მიმიცემიეს შენდა და უფროჲსი ამისსა მიგცე შენ“. ამის შემდეგ სულით განმხიარულებულმა ქალწულებმა მშვიდად მოუდრიკეს ქედი მახვილს (+დაახლ. 306, 4 დეკემბერი). წმიდა ბარბარე მამამისის ხელით აღესრულა. როგორც კი დიოსკორემ ასულს მახვილი დასცა, იმავ წამს ზეციდან გარდამომხდარი საშინელი ელვა დაატყდა თავს და ერთიანად დაწვა, ფერფლი კი ამოვარდნილმა ქარმა გაფანტა. ასევე დაისაჯა მარტიანეც: სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა და მისგან მტვერიც კი აღარ დარჩენილა.

ბარბარეს პატიოსანი ნეშტი ღვთისმოსავმა ვალენტინემ ილიოპოლში გადაასვენა, პატივით დაკრძალა და მის საფლავზე ტაძარი ააგო. VI საუკუნეში ნეტარი დიდმოწამის წმიდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, საიდანაც XII საუკუნეში კიევში იქნა გადასვენებული.

***„წმიდათა ცხოვრებანი“, წ. II, თბილისი, 2008 წ.***

# საეკლესიო კალენდარი

| | |
|---|---|
| **4 ნოემბერი (ხუთშ.)** | — შვიდთა ყრმათა ეფესელთა ხსენება (დაახ. 250წ.);<br>— დღესასწაული ყაზანის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა; |
| **5 ნოემბერი (პარ.)** | — მოც. იაკობის, უფლის ხორციელად ძმის ხსენება (დაახ. 63წ.); |
| **6 ნოემბერი, დიმიტრის შაბათი** | — მიცვალებულთა ხსენება; |
| **7 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 24-ე კვირა** | — მოწ. მარკიანეს და მარტვირის ხსენება (დაახ. 355წ.); |
| **8 ნოემბერი (ორშ.)** | — დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის ხსენება (დაახ. 306წ.); |
| **10 ნოემბერი (ოთხშ.)** | — მღვდელმოწამე ნეოფიტესი, ურბნელი ეპისკოპოსის ხსენება (VII ს.); |
| **11 ნოემბერი (ხუთშ.)** | — ღირ. მამისა ჩვენისა სერაპიონ ზარზმელის ხსენება (900წ.); |
| **12 ოქტომბერი (პარ.)** | — მოწ. იოთამ ზედგენიძის, მეფისათვის თავდადებულის ხსენება (1465წ.); |
| **13 ნოემბერი (შაბ.)** | — ხსენება წმიდათა ათთა ბევრთა (100 000) მოწამეთა (1227წ.); |
| **14 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 25-ე კვირა** | — უვეცხლოთა და საკვირველთმოქმედთა კოზმა და დამიანე ასიელთა ხსენება (III ს.); |
| **17 ნოემბერი (ოთხშ.)** | — ხსენება ღირ. ნიკოლოზ ქართველთა მნათობისა, აკოლუთიათა აღმწერელისა (1308წ.); |
| **20 ნოემბერი (შაბ.)** | — 33 მელიტინელ მოწამეთა ხსენება (III ს.); |
| **21 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 26-ე კვირა** | — კრება წმიდისა მთავარანგელოზისა მიქაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა; |
| **23 ნოემბერი (სამშ.)** | — ხსენება წმიდისა დიდისა მოწამისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა (303წ.); |
| **26 ნოემბერი (პარ.)** | — ხსენება წმ. იოანე ოქროპირისა, კონსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსისა (407წ.); |
| **27 ნოემბერი (შაბ.)** | — წმ. მოციქულ ფილიპეს ხსენება (I);<br>— შობის მარხვის აღება! |
| **28 ნოემბერი, სულთმოფენობიდან 27-ე კვირა** | — მოწ. გურისა და სამონის (299-306წ.) და აბიბოს აღმსარებლის (322წ.) ხსენება;<br>— შობის მარხვის დასაწყისი! |
| **29 ნოემბერი (ორშ.)** | — წმ. დიდებულის, ყოვლადქებული მოციქულის და მახარებლის თომას ხსენება (60წ); |
| **30 ნოემბერი (სამშ.)** | — დიდმოწამე მიქაელის, რომელსა ეწოდა გობრონ და მისთა 133-თა მხედართა ხსენება (914წ.); |

# საეკლესიო კალენდარი

**2 დეკემბერი (ხუთშ.)** — ღირ. მამის ილარიონ ქართველის ხსენება (875 წ.);

**4 დეკემბერი (შაბ.)** — ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება;

**6 დეკემბერი (ორშ.)** — მოწ. გრიგოლ არქიმანდრიტის (ფერაძე) ხსენება;

**7 დეკემბერი (სამშ.)** — დიდმოწამეთა მერკურისა (III ს.) და ეკატერინეს ხსენება (305-313 წწ.);

**8 დეკემბერი (ოთხშ.)** — ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულის წარგზავნა;

**12 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 29-ე კვირა** — მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ხსენება (VI ს.);

**13 დეკემბერი (ორშ.)** — მოციქულ ანდრია პირველწოდებულის და წმ. მეფის ვახტანგ გორგასლის ხსნება (502 წ.);

**14 დეკემბერი (სამშ.)** — წინასწარმეტყველ ნაუმის ხსენება (VII ს. ქრის. წინ);

**15 დეკემბერი (ოთხშ.)** — ღირ. ისე წილკნელის ხსენება (VI ს.);

**17 დეკემბერი (პარ.)** — დიდმოწამე ბარბარეს ხსენება;

**18 დეკემბერი ( შაბ.)** — ღირ. საბა განწმენდილის ხსენება (532 წ.);

**19 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 30-ე კვირა** — წმ. ნიკოლოზის, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 345 წ.);

**22 დეკემბერი (ოთხშ.)** — მუცლადღება მართლისა ანას მიერ ყოვლდწმიდისა ღმრთისმშობლისა;

**23 დეკემბერი (ხუთშ.)** — მოწ. მეფე ვახტნგ III-ის ხსენება (ძისა მეფისა დემეტრე თავდადებულისა);

**24 დეკემბერი (პარ.)** — ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა ხსენება;

**25 დეკემბერი (შაბ.)** — წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელი ეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 348 წ.);

— სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე;

**26 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 31-ე, წმიდა მამამთავართა (მართალ მამათა) კვირა** — მოწ. ევსტრატის, ავქსენტის, ევგენის, მარდარის და ორესტის ხსენება (284-305 წწ.);

**29 დეკემბერი (ოთხშ.)** — წინასწარმეტყველ ანგეას ხსენება (500 წ. ქრ. წინ);

**30 დეკემბერი (ხუთშ.)** — წინასწარმეტყველ დანიელის და 3-თა ყრმათა: ანანიას, აზარიასა და მისაილის ხსენება (600 წ. ქრ. წინ);

**2 იანვარი, სულთმოფენობიდან 32-ე, ქრისტეშობის წინა, წმიდა მამათა კვირა** — მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის ხსენება (107 წ.).

# სასარგებლო რჩევები




*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II კურთხევით სერიიდან „თამარის დროშის ბიბლიოთეკა“ გამოიცა „საეკლესიო სამედიცინო კალენდარი 2010“. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია არქიმანდრიტი ადამი (ახალაძე).*

*გთავაზობთ საინტერესო რჩევებს აღნიშნული წიგნიდან.*

## ქაცვი

სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფი, რომლის შეგროვებაც შეიძლება შემოდგომიდან თებერვლამდე. ინახება მშრალი, გაყინული, დაკონსერვებული ან გახეხილი შაქართან ერთად. შეიცავს დიდი რაოდენობით C-ვიტამინსა და კაროტინს. აძლიერებს ორგანიზმის რეზისტენტობას ინფექციის, ტემპერატურის მერყეობის მიმართ.

ქაცვის ზეთი იხმარება დამწვრობის, ნაწოლების, სხივური დაზიანების სამკურნალოდ. წყლულოვანი დაავადების დროს ინიშნება თითო სუფრის კოვზი ყოველი ჭამის წინ 15 წუთით ადრე. ზეთით ინჰალაცია კარგია ზემო სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებებისათვის.

## თაფლის სამკურნალო თვისებები

თაფლი არ შეიძლება ვუწოდოთ პროდუქტს, რომელიც მიიღება შაქრით ან შაქრის სიროფით ფუტკრების გამოკვებისას. სამკურნალო დღე-ღამური დოზა არ უნდა აღემატებოდეს მოზრდილთათვის 100-120 გრამს, ბავშვებისათვის — 30-50 გრამს, განაწილებულს რამდენიმე ულუფად. თაფლს აქვს ანტიბაქტერიული, ანთებისსაწინააღმდეგო, დამამშვიდებელი და მრავალი სხვა თვისება. თბილ წყალში გახსნილი თაფლი აქვეითებს კუჭის მჟავიანობას, ცივ წყალში კი — ზრდის. უნდა გაითვალისწინოთ, რომ აუცილებელია თაფლის შერჩევა მცენარეების მიხედვით.

ათეროსკლეროზის სამკურნალოდ იღებენ თანაბარი რაოდენობის თაფლსა და ხახვის ფაფას. ღებულობენ ნარევის თითო სუფრის კოვზს დილა-საღამოს ორი თვის მანძილზე.

ქრონიკული შეკრულობის დროს კარგია თაფლზე დამზადებული დიდგულას ნაყოფის მურაბა. ღებულობენ თითო სუფრის კოვზს 2-3-ჯერ დღეში.

ყივანახველას დროს ბავშვებს დაუმზადეთ თანაბარი რაოდენობის თაფლისა და ზეითუნის ზეთის ნარევი. მიეცით თითო ჩაის კოვზი რამდენიმეჯერ დღეში.

ბრონქიტის, ლარინგიტის, ძლიერი ხველების დროს ერთ ჭიქა გახეხილ ხახვს უმატებენ ერთ ჭიქა ძმარს, წურავენ 4 ფენა მარლაში და უმატებენ ერთ ჭიქა თაფლს. ღებულობენ თითო ჩაის კოვზს ყოველ ნახევარ საათში.

## მხედველობის დაქვეითებისას სასარგებლოა მიიღოთ:

თაფლიანი წყალი (1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა თბილ წყალზე);

ალოეს ახალი წვენი (1 ჩაის კოვზი 2-3-ჯერ, 20-30 წუთით ადრე ჭამამდე);

მოცვი და სტაფილო ნებისმიერი სახით;

ასკილის, კოთხუჯისა და შავბალახას ნახარში;

ჭანგას ფესურას ნახარში, დამზადებული შემდეგი წესით: 4 სუფრის კოვზ მშრალ დანაწევრებულ ფესურას ადუღებთ 5 ჭიქა ანადუღარ წყალში მოცულობის ¼-მდე შემცირებამდე. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 4-5-ჯერ დღეში.

# მადიდური სულიერი მეგობრობა

# ნობელის შუძლების ხსოვნას



ხამთარი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ალექსანდრე ფარფალია, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 93-17-20, 895-41-21-70. ტირაჟი: 500 ცალი